სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/58

ქ. თბილისი

29 აპრილი 2026 წ.

უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 20 სექტემბრის №01-05-04/254 დადგენილებით დამტკიცებულ „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციაში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის შესაბამისად, უნივერსიტეტის ვიცე-რექტორ თამარ წერეთლის სამსახურებრივი ბარათის და აკადემიური საბჭოს 2026 წლის 29 აპრილის ხდომის №01-05-02/08 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 20 სექტემბრის №01-05-04/254 დადგენილებით დამტკიცებულ „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციაში“ შეტანილი იქნეს ცვლილებები და ინსტრუქციის:

ა) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. თავისუფალი/არასავალდებულო კომპონენტი არის საგანმანათლებლო პროგრამაში არსებული არჩევითი სასწავლო კურსი/საგანი, რომლის სწავლის შედეგი არ განსაზღვრავს მისანიჭებელ კვალიფიკაციას. თავისუფალ კომპონენტს არ უნდა ჰქონდეს დაშვების წინაპირობა. უნივერსიტეტის ბაკალავრიატის ყველა საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული თავისუფალი კომპონენტები გაერთიანებულია ერთ ბაზაში და სტუდენტს საშუალება აქვს გააკეთოს განაცხადი მისთვის სასურველი თავისუფალი კომპონენტის არჩევის თაობაზე.“;

ბ) მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სემესტრი არის დროის პერიოდი, რომელიც მოიცავს სასწავლო კვირათა ერთობლიობას, დამატებითი გამოცდის/გამოცდების ჩატარებისა და დამატებით გამოცდაზე/გამოცდებზე სტუდენტის მიღწევის შეფასების პერიოდს. სტუ-ში ერთი სემესტრის განმავლობაში 13 კვირა

სასწავლოა (სააუდიტორიო მეცადინეობების), 1 – შუასემესტრული გამოცდის, 1 – დოკუმენტური მასალის ჩაბარების და 3 – სასესიო (დასკვნითი და დამატებითი გამოცდების). სასწავლო პრაქტიკა/სტაჟირება, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიძლება ჩატარდეს როგორც სასწავლო კვირებში, ისე სხვა დროს.";

გ) მე-6 მუხლის მე-13 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„13. სილაბუსში მითითებული უნდა იყოს, თუ შუალედური შეფასების რომელ კომპონენტში მოეთხოვება სტუდენტს დოკუმენტური მასალის (ლაბორატორიული/ პრაქტიკული/ ნახაზი/ ნახატი/ თემატური პროექტი/ პროექტები/ საკურსო სამუშაო/ საკურსო პროექტი/ პრაქტიკის/სტაჟირების ანგარიში და ა.შ.) ჩაბარება.";

დ) მე-6 მუხლს 26-ე პუნქტის შემდეგ დაემატოს 27-ე პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„27. საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული საბაკალავრო კვლევითი პროექტის/ნაშრომის შეფასება ხორციელდება საბაკალავრო კვლევითი პროექტის/ნაშრომის მომზადებისა და შესრულების წესის შესაბამისად.";

ე) მე-8 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სტუდენტი, რომელიც არ ეთანხმება სწავლის შედეგების შეფასებას (მიმდინარე შეფასება, შუასემესტრული/დაკვნითი/დამატებითი გამოცდა, ტესტირება, თემატური სემინარი, დისერტაციის, სამაგისტრო/საბაკალავრო პროექტის/ნაშრომის, საკურსო პროექტის/სამუშაოს, თემატური პროექტის, პრაქტიკის/სტაჟირების ანგარიშის დაცვა და სხვა სახის გამოცდა/ტესტირება/შეფასება), უფლებამოსილია, შეფასების შედეგის გაცნობიდან ხუთი სამუშაო დღის ვადაში, დასაბუთებული საჩივრით მიმართოს დეკანს და მოითხოვოს შედეგების გადასინჯვა.";

ვ) მე-11 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. უწყისში ინფორმაციის შეტანისას სასწავლო კურსის წამყვანი პროფესორი უნდა დაეყრდნოს სასწავლო კურსის ფორმატით გათვალისწინებული სემინარის, პრაქტიკის/სტაჟირების, საკურსო სამუშაოს/პროექტის ან სხვა სახის მეცადინეობების წამყვანი მასწავლებლების მონაცემებს.

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**